ხელშეკრულება № 89

ქ. თბილისი | სახელმწიფო შესყიდვების შესახებ | 22 ნოემბერი .2012

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ განხორციელების წესის შესახებ" დებულების მოთხოვნათა შესაბამისად სსიპ ქართველ იუნკერთა სახელობის ქალაქ თბილისის №52 საჯარო სკოლის მიერ შესყიდვების განხორციელების მიზნით – ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქართველ იუნკერთა სახელობის ქალაქ თბილისის №52 საჯარო სკოლა, წარმომადგენელი მისი დირექტორის პაატა ბერიკაშვილის სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს"ორიენტ ლოჯიკ"მისი დირექტორის ვაჟა ნასყიდაშვილის სახით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მომწოდებელი კისრულობს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს პრინტერის ნაწილი(**დანართი№1 ის შესაბამისად**) (CPV:30200000) ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი საქონელი/მომსახურება და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

2. შესყიდვის ობიექტის ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის/მომსახურების ღირებულება განისაზღვრება ლარებში;

2.2. შესყიდვის ობიექტის/მომსახურეობის საერთო ღირებულება შეადგენს 60(სამოცი ლარი და 00 თეთრი) ლარს:

2.3. შესყიდვის ობიექტის/მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება მიღებული მომსახურების საერთო ღირებულებით.

3. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

3.1. საქონელი/მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3.2. საქონლის/მომსახურების მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას უზრუნველყოფს მომწოდებელი საკუთარი ხარჯებით.

3.3. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მომწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები, დაწუნებული საქონლის ნაწილისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

4. გარანტია

4.1. მომწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მოწოდებული საქონელი და მომსახურება იქნება ხარისხიანი და შეესაბამება ხელშეკრულების მოთხოვნებს. 4.2. ამ გარანტიის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე.

5. მომსახურების მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. მომსახურების მიწოდება განხორციელდება 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, ჟანბეგის №27

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მომწოდებელთან განხორციელდება 1 (ერთი) თვის განმავლობაში, მომწოდებლის მიერ ფაქტიურად მოწოდებული მომსახურების შესაბამისად მიღება-ჩაბარების აქტის წარდგენის საფუძველზე.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

6.3. ანგარიშსწორება მომწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1. ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, აუნაზრაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისთვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

7.2. მომწოდებელი კისრულობს ვალდებულებას:

7.2.1. გადაუხადოს პირგასამტეხელოს სახით შემსყიდველს 5.1. პუნქტით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში მისაწოდებელი საქონლის ან მომსახურების ღირებულების 0.01% ყოველი გადაცილებული დღისთვის.

7.2.2. იმ შემთხვევაში, თუ პირგასამტეხელოს ჯამური თანხაშეადგენს ხელშეკრულების 2%-ს და მხარეები ვერ შეთანხმდებიან საქონლის ან მომსახურების მიწოდების ვადების გაგრძელებაზე, შემსყიდველი უფლებამოსილია შეუწყვიტოს ხელშეკრულება და დააკისროს მომწოდებელს პირგასამტეხელო მთლიანი სახელშეკრულებო თანხის 50%-ის ოდენობით.

7.2.3. შემსყიდველის მიერ 7.2.2. პუნქტით განსაზღვრული პირგასამტეხელოს დაკისრების შემთხვევაში მომწოდებლის მიმართ არ გამოიყენება 7.2.1. პუნქტით განსაღვრული პირგასამტეხელო.

8 . ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1. ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

8.2. თუ წინასწარ გაუთვალისწინებელი რაიმე მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია მეორე მხარეს.

8.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.4. ხელშეკრულების პირობის ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ·ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. უფლებების გადაცემა

9.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

10. ხელსეკრულების შესრულების შეფერხება

10.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილების შესახებ აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელსეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

11.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად შეწყვიტოს ხელსეკრულება მიმწოდებლისთვის ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

11.1.1. თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი მომსახურება.

11.1.2. თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

11.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მომწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.3. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

11.3.1. თუ შემსყიდველისთვეის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.

11.3.2. მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში.

11.3.3. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12 ინსპექტირება ხელშეკრულების შესრულებაზე

12.1. შემსყიდველს უფლება აქვს, ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე, განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე. კონტროლს განახორციელებს შესყიდვების წარმომადგენლები.

12.2. ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:

12.2.1. კონტროლი გაუწიოს მომსახურების მიწოდების ვადების შესაბამისობის დადგენას ხელშეკრულების მოთხოვნებთან.

12.2.2. განახორციელოს კონტროლი მიწოდებული მომსახურების ხარისხზე და შემოწმების აქტის საფუძველზე დაადგინოს შეესაბამება თუ არა მიწოდებული მომსახურება ხელშეკრულების მოთხოვნებს.

12.2.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისთვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებით და სხვა სამუშაო პირობებით.

12.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოხვრა.

13. ფორს-მაჟორი

13.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისთვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და არაკონტროლირებად გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველისა ან მომწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომელსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას საომარი მდგომარეობით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიებით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება აღნიშნული გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს წერილობით პასუხს მეორე მხარისგან, იგი, თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნება ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადავო საკითხები

14.1. შემსყიდველმა და მომწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმდნენ და მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

14.2. ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლოს წესით.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 31.12. 2012 წლამდე.

16. სხვა პირობები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე თანასწორი იურიდიული ძალის მქონე 3 გვერდიანი 2 (ორი) ეგზემპლიარად, თითო ეგზემპლიარი თითოეული მხარისათვის.

16.2. ცვლილებები და დამატებები წინამდებარე ხელშეკრულებაში შესაძლებელია შევიდეს წერილობითი ფორმით, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

16.3. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

16.4. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების, ან მისი სხვა პუნქტების ბათილად ცნობას.

მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

<u>შემსყიდველი:</u>	<u>მომწოდებელი:</u>
ქართველ იუნკერთა	შპს"ორიენტ ლოჯიკი"
ქალაქ თბილისის № 52 საჯარო სკოლა	ს/კოდი202052054
მის: ქ. თბილისი ყაზბეგის №27	მის:აღმაშენებლის გამზირი№91–ა
ტელ: 231-30-29	სს პროკრედიტ ბანკი
სს „ლიბერთი ბანკი" ს/ც	ბანკის კოდი: MIBGG22
ბანკის კოდი 220101480	ტელ:254-18-18
ანგარიშის ნომერი № GE39LB0121161811322000	ა/ა GE67PC0243600100009528
საიდ/კოდი 211351384	
სკოლის დირექტორი /პ.ბერიკაშვილი/	დირექტორი: /ვ.ნასყიდაშვილი/

დანართი #1

N	ხელშეკრულების საგნის მოდელი	სამუშაოს/ხელშეკრულების საგნის აღწერა	პარტ ნომერი	ერთეულის ფასი	რ-ობა	მთლიანი ფასი
1	HP Laser Jet 3052	Bushing	RC1-1953-000CN	60.00	1	60.00

ჯამი დღგ-ს ჩათვლით:60.00 (სამოცი ლარი და 00 თეთრი) ლარი

სსიპ ქალაქ თბილისის #52 საჯარო სკოლა
დირექტორი

პაატა ბერიკაშვილი

შპს ორიენტ ლოჯიკი
დირექტორი

ვაჟა ნასყიდაშვილი